

## „ალერგოლოგია-იმუნოლოგია“

1. სპეციალობის დასახელება-„ ალერგოლოგია-იმუნოლოგია“<sup>1</sup>.

2. სპეციალობის შინაარსი - „ალერგოლოგია-იმუნოლოგია“ წარმოადგენს მედიცინის დარგს იმუნიტეტის, იმუნოპათოლოგიისა და ჰიპერმგრძობელობის შესახებ, რომელიც შეისწავლის ალერგიული, აუტოიმუნური, იმუნოდეფიციტური დარღვევებითა და ტრანსპანტატის მოცილებით მიმდინარე პათოლოგიებს. ალერგოლოგ-იმუნოლოგი არის სერტიფიცირებული სპეციალისტი, რომელსაც აქვს მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნა და ფლობს პრაქტიკული საექიმო საქმიანობისთვის აუცილებელ უნარებს, რომელიც შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში საჭიროა ალერგია/ჰიპერმგრძობელობითა და იმუნოლოგიური დარღვევებით მიმდინარე დაავადებათა დიაგნოსტიკის (in vitro, in vivo, in situ), რეფერალის, მკურნალობის, რეაბილიტაციისა და პრევენციისათვის როგორც ბავშვთა, ისე მოზრდილთა ასაკში.

### 3. ზოგადი ცოდნა:

ალერგოლოგ-იმუნოლოგმა უნდა იცოდეს:

- ა) ბაზისური და კლინიკური იმუნოლოგია - იმუნიტეტის, იმუნოპათოლოგიისა და ალერგია/ჰიპერმგრძობელობის საფუძვლები, დიაგნოსტიკის (in vitro, in vivo, in situ), რეფერალის, მკურნალობის, რეაბილიტაციისა და პრევენციის პრინციპები;
- ბ) პირველადი და მეორადი იმუნოდეფიციტები (უჯრედული, ანტისხეულების დეფიციტით მიმდინარე და კომბინირებული იმუნოდეფიციტები, ფაგოციტური და კომპლემენტის სისტემის იმუნოდეფიციტები);
- გ) აივ ინფექცია/შიდსი;
- დ) აუტოიმუნური დაავადებები (სისტემური წითელი მგლურა, რევმატოიდული ართრიტი, ხაშიმოტოს დაავადება, მიასთენია გრავის და სხვ.);
- ე) ფილტვის იმუნოლოგიური დაავადებები (ვეგენერის გრანულომატოზი, მიკროსკოპული პოლიანგიტი, ჩარგ-შტრაუსის სინდრომი, სარკოიდოზი, ალერგიული ბრონქოპულმონური ასპერგილოზი, გუდპაჩერის დაავადება და სხვ.);
- ვ) ანტიფოსფოლიპიდური სინდრომი;
- ზ) ეოზინოფილია და ეოზინოფილ-დამოკიდებული დაავადებები;
- თ) ეოზინოფილური გასტროენტეროპათია;
- ი) პოლინოზი/თივის ცხელება;
- კ) ბრონქული ასთმა;
- ლ) ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება (ფქოდი);
- მ) პროფესიული ალერგია/ასთმა;
- ნ) ჰიპერსენსიტიური პნევმონიტი;
- ო) ეგზოგენური ალერგიული ალვეოლიტი;
- პ) ალერგიული რინიტი;
- ჟ) ნაზალური პოლიპოზი და ალერგიული რინოსინუსიტი;

<sup>1</sup> „ალერგოლოგია-იმუნოლოგიაში“ სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირს უფლება აქვს, განახორციელოს როგორც ბავშვთა, ასევე, მოზრდილთა კონტინგენტის სამედიცინო მომსახურება.

- რ) ალერგიული ნაზოფარინგიტი, ლარინგიტი, ლარინგოსპაზმი, ალერგიული ლარინგოტრაქეობრონქიტი;
- ს) ალერგიული აფტოზური სტომატიტი;
- ტ) ასპირინით გამწვავებული რესპირაციული დაავადება;
- უ) ინსექტური ალერგია;
- ფ) ლატექს ალერგია;
- ქ) ანაფილაქსია;
- ღ) მასტოციტოზი;
- ყ) ურტიკარია;
- შ) ანგიოედემა;
- ჩ) შრატისმიერი დაავადება;
- ც) კანის ალერგიული დაავადებები (ატოპიური დერმატიტი, კონტაქტური დერმატიტი, ფოტოდერმატიტი, ალერგიული ვასკულიტი, ალერგიული ეგზანთემები ვირუსული ინფექციის დროს);
- ძ) თვალის ალერგიული და იმუნოლოგიური დაავადებები;
- წ) ალერგია/ჰიპერმგრძობელობა საკვებზე;
- ჭ) ალერგია/ჰიპერმგრძობელობა მედიკამენტებზე;
- ხ) ალერგია/ჰიპერმგრძობელობა საკვებისა და მედიკამენტების დანამატებზე;
- ჯ) ალერგია/ჰიპერმგრძობელობა ინფექციური ვაქცინების მიმართ;
- ჰ) ასთმა და ალერგია ორსულობის დროს;
- ჰ<sup>1</sup>) ხველა;
- ჰ<sup>2</sup>) მწვავე გადაუდებელ ალერგიულ რეაქციათა მართვა (ანაფილაქსიური შოკი, ასთმური შეტევა/სტატუსი, ანგიოედემა, გენერალიზებული ურტიკარია და სხვ.);
- ჰ<sup>3</sup>) იმუნური სტატუსის შეფასება, იმუნოლოგიური სადიაგნოსტიკო ტესტები, ჩვენებები და შედეგების ინტერპრეტაცია;
- ჰ<sup>4</sup>) ალერგიის დიაგნოსტიკის (in vitro, in vivo, in situ) ტესტები, ჩვენებები, უკუჩვენებები, ინტერპრეტაცია;
- ჰ<sup>5</sup>) მედიკამენტური ჰიპერმგრძობელობის დიაგნოსტიკა (in vitro, in vivo, patch-ტესტები, მედიკამენტებით პროვოკაციული ტესტები), ჩვენებები, უკუჩვენებები, დესენსიბილიზაციის სქემები;
- ჰ<sup>6</sup>) ალერგიის მოლეკულური დიაგნოსტიკის ტესტები: ჩვენება, ინტერპრეტაცია;
- ჰ<sup>7</sup>) ფილტვის ფუნქციური ტესტები, გარეგანი სუნთქვის ფუნქციის განსაზღვრა, პიკფლოუმეტრია და მისი ინტერპრეტაცია;
- ჰ<sup>8</sup>) ამოსუნთქულ ჰაერში აზოტის ოქსიდის განსაზღვრა და ინტერპრეტაცია;
- ჰ<sup>9</sup>) პროვოკაციული (სუნთქვითი, კვებითი, მედიკამენტური, ფიზიკური დატვირთვის, ყინულის, ჰიპერთერმული, ზეწოლითი და სხვ.) ტესტები;
- ჰ<sup>10</sup>) კანის ტესტი აუტოლოგიური შრატით, ჩვენებები, ინტერპრეტაცია ;
- ჰ<sup>11</sup>) ალერგიული ჰიპო და დესენსიბილიზაცია ალერგენებით (მცენარეული, საყოფაცხოვრებო, სოკოვანი, ინსექტური და სხვ.), მედიკამენტებით, საკვები პროდუქტებით;
- ჰ<sup>12</sup>) ალერგიული კომპონენტით მიმდინარე სასუნთქი სისტემის, ოტო-რინო-ლარინგოლოგიური, თვალის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, რევმატოლოგიური, ჰემატოლოგიური და დერმატო-ვენეროლოგიური დაავადებების ზოგადი დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, რეფერალი, მენჯემენტის ზოგადი პრინციპები, აუცილებლობის მიხედვით ადეკვატური ქიმიოთერაპიის შერჩევა და, საჭიროების გათვალისწინებით, დინამიკაში კონტროლი.

**4. დაავადებები და მდგომარეობები:**

ICD 10	პათოლოგია	საქმიანობის მოცულობა
<b>სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების დაავადებები და იმუნური მექანიზმით მიმდინარე ზოგიერთი დარღვევები</b>		
D69.0	<ul style="list-style-type: none"> <li>• ალერგიული პურპურა</li> <li>• ანაფილაქტოიდური</li> <li>• Henoch(Schönlein)</li> <li>• ვასკულიტი, ალერგიული</li> </ul>	დიაგნოსტიკა, მკურნალობა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
D72.1	ეოზინოფილია	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
D80-D89	იმუნური მექანიზმით მიმდინარე ზოგიერთი დარღვევა	დიაგნოსტიკა, მკურნალობა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
<b>თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები (მიმდინარე ალერგიული კომპონენტით)</b>		
H01.1	ქუთუთოს არაინფექციური დერმატოზები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
H10.1	მწვავე ატოპიური კონიუნქტივიტი	მართვა
H10.3	მწვავე კონიუნქტივიტი, დაუზუსტებელი	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
H10.4	ქრონიკული კონიუნქტივიტი	მართვა კომპ.ფარგ./რეფერალი
H10.9	კონიუნქტივიტი, დაუზუსტებელი	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
<b>სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები</b>		
I42.3	ენდომიოკარდიული (ეოზინოფილური) ავადმყოფობა	დიაგნოსტიკა/რეფერალი
<b>სასუნთქი სისტემის დაავადებები</b>		
J20	მწვავე ბრონქიტი	დიაგნოსტიკა/რეფერალი
J30.1	ალერგიული რინიტი გამოწვეული მცენარეთა მტვრით	მართვა
J30.2	სხვა სეზონური ალერგიული რინიტები	მართვა
J30.3	სხვა ალერგიული რინიტები	მართვა
J30.4	ალერგიული რინიტი, დაუზუსტებელი	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
J31	ქრონიკული რინიტი, ნაზოფარინგიტი და ფარინგიტი	მართვა კომპ.ფარგ./რეფერალი
J32	ქრონიკული სინუსიტი	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
J33.0	ცხვირის ღრუს პოლიპი	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
J33.9	ცხვირის პოლიპი, დაუზუსტებელი	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
J37	ქრონიკული ლარინგიტი და ლარინგოტრაქეიტი	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
J38.3	სახმო იოგების სხვა ავადმყოფობები	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
J38.4	ხორხის შეშუპება	მართვა კომპეტენციის

		ფარგლებში/რეფერალი
J38.5	ხორხის სპაზმი	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
J38.7	ხორხის სხვა ავადმყოფობები	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
J39.2	ხახის სხვა ავადმყოფობები	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
J39.3	ზედა სასუნთქი ტრაქტის ზემგრძნობელობითი რეაქცია, ლოკალიზაცია დაუზუსტებელი	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
J39.9	ზედა სასუნთქი ტრაქტის დაავადება, დაუზუსტებელი	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
J40-J47	ქვედა სასუნთქი გზების ქრონიკული ავადმყოფობები	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
J66	სასუნთქი გზების ავადმყოფობა, გამოწვეული სპეციფიური ორგანული მტვრით	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
J67	ზემგრძნობელობითი პნევმონიტი, გამოწვეული ორგანული მტვრით	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
J70.2	ფილტვების მწვავე ინტერსტიციული დაზიანებები, მედიკამენტური	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
J70.3	ფილტვების ქრონიკული ინტერსტიციული დაზიანებები, მედიკამენტური	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
J70.4	ფილტვების მედიკამენტური ინტერსტიციული დაზიანება, დაუზუსტებელი	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
J70.8	რესპირაციული მდგომარეობები, გამოწვეული სხვა დადგენილი გარეგანი ფაქტორებით (აგენტებით)	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
J70.9	რესპირაციული მდგომარეობები, გამოწვეული დაუზუსტებელი გარეგანი აგენტებით	დიაგნოსტიკა, მკურნალობა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
J82	პულმონური ეოზინოფილია, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	დიაგნოსტიკა, მკურნალობა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
J96	სუნთქვის უკმარისობა, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	დიაგნოსტიკა, მკურნალობა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
J98.0	ბრონქების ავადმყოფობები, რომლებიც სხვა რუბრიკებში არ არის კლასიფიცირებული	დიაგნოსტიკა/რეფერალი
J98.2	ინტერსტიციული ემფიზემა	დიაგნოსტიკა/რეფერალი
J98.3	კომპენსატორული ემფიზემა	დიაგნოსტიკა/რეფერალი
J98.8	სუნთქვის სხვა დაზუსტებული დარღვევები	დიაგნოსტიკა/რეფერალი
J98.9	სუნთქვის დარღვევები, დაუზუსტებელი	დიაგნოსტიკა/რეფერალი
<b>საჭმლის მომწელებელი სისტემის დაავადებები</b>		
K12.0	პირის ღრუს მორეციდივე აფთები (გამონაყარი ლორწოვანზე)	დიაგნოსტიკა, მკურნალობა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
K12.1	სტომატიტის სხვა ფორმები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა

		კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
K13.4	პირის ღრუს ლორწოვანის გრანულომა და გრანულომის მსგავსი დაზიანებები (ეოზინოფილური გრანულომა - პირის ღრუს ლორწოვანის)	დიაგნოსტიკა, მკურნალობა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
K21.9	გასტრო-ეზოფაგური რეფლუქსი ეზოფაგიტის გარეშე	დიაგნოსტიკა/რეფერალი
K52.2	ალერგიული და საკვებით გამოწვეული გასტროენტერიტი და კოლიტი	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
K52.8	სხვა დაზუსტებული არაინფექციური გასტროენტერიტი და კოლიტი	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
<b>კანისა და კანქვეშა ქსოვილების დაავადებები</b>		
L10.5	წამლისმიერი პემფიგუსი	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
L11.0	შემენილი ფოლიკულური კერატოზი	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
L12.0	ბულოზური პემფიგოიდი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
L13.0	ჰერპესის მაგვარი დერმატიტი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
L20	ატოპიური დერმატიტი	მართვა
L21	სებორეული დერმატიტი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
L22	სახვევის დერმატიტი	მართვა
L23	ალერგიული კონტაქტური დერმატიტი	მართვა
L24	მარტივი ირიტაციული კონტაქტური დერმატიტი	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
L25	კონტაქტური დერმატიტი, დაუზუსტებელი	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
L26	ექსფოლიაციური დერმატიტი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
L27	შინაგანად მიღებული ნივთიერებებით გამოწვეული დერმატიტი	დიაგნოსტიკა, მკურნალობა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
L29.9	ქავილი, დაუზუსტებელი	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
L30	სხვა დერმატიტები	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
L50	ურტიკარია (ჰინჭრის ციება)	მართვა
L51	მრავალფორმიანი ერითემა	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
L52	კვანძოვანი ერითემა	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
L53	ერითემის მსგავსი სხვა მდგომარეობები	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
L54.*	ერითემა იმ ავადმყოფობათა დროს,	დიაგნოსტიკა, მკურნალობა

	რომლებიც შეტანილია სხვა რუბრიკებში	კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
L56.0	წამლისმიერი ფოტოტოქსიკური რეაქცია	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
L56.1	ფოტოალერგიული რეაქცია მედიკამენტების მიმართ	მართვა
L56.2	ფოტოკონტაქტური დერმატიტი (brelouque-dermatiti)	მართვა
L56.3	მზისმიერი ურტიკარია (ჰინჭრის ციება)	მართვა
L85.3	კანის ქსეროზი (კანის პათოლოგიური სიმშრალე)	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
L92.2	სახის გრანულომა (კანის ეოზინოფილური გრანულომა)	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
<b>ანთებითი პოლიარტროპათიები</b>		
M05	სეროპოზიტიული რევმატიოიდული ართრიტი	დიაგნოსტიკა/რეფერალი
M06	სხვა რევმატიოიდული ართრიტები	დიაგნოსტიკა/რეფერალი
M08	იუვენილური ართრიტები	დიაგნოსტიკა/რეფერალი
M12	სხვა სპეციფიური ართროპათიები	დიაგნოსტიკა/რეფერალი
M13	სხვა ართრიტები	დიაგნოსტიკა/რეფერალი
<b>მვალ - კუნთოვანი სისტემის და შემაერთებელი ქსოვილების დაავადებები</b>		
M30	კვანძოვანი პოლიარტერიტი და მისი მონათესავე მდგომარეობები	დიაგნოსტიკა/რეფერალი
M31.0	ზემგრძნობელური ანგიტი	დიაგნოსტიკა/რეფერალი
M31.3	ვეგენერის გრანულომატოზი	დიაგნოსტიკა/რეფერალი
M31.4	აორტის რკალის სინდრომი [ტაკაიასუ]	დიაგნოსტიკა/რეფერალი
M31.5	გიგანტურუჯრედოვანი არტერიტი რევმატიული პოლიმიალგიით	დიაგნოსტიკა/რეფერალი
M32	სისტემური წითელი მგლურა	დიაგნოსტიკა/რეფერალი
M33	დერმატოპოლიმიოზიტი	დიაგნოსტიკა/რეფერალი
M34.1	CR(E)ST სინდრომი	დიაგნოსტიკა/რეფერალი
M35.0	მშრალი სინდრომი [შეგრენის]	დიაგნოსტიკა/რეფერალი
M35.2	ბეჰჩეტის ავადმყოფობა	დიაგნოსტიკა/რეფერალი
M35.3	რევმატიული პოლიმიალგია	დიაგნოსტიკა/რეფერალი
M35.4	დიფუზიური (ეოზინოფილური) ფასციიტი	დიაგნოსტიკა/რეფერალი
<b>აუტოიმუნური პათოლოგიები</b>		
E02	სუბკლინიკური იოდ-დეფიციტური ჰიპოთირეოზი	დიაგნოსტიკა/რეფერალი
E03	ჰიპოთირეოზის სხვა ფორმები	დიაგნოსტიკა/რეფერალი
E04	არატოქსიური ჩიყვის სხვა ფორმები	დიაგნოსტიკა/რეფერალი
E05	თირეოტოქსიკოზი [ჰიპერთირეოზი]	დიაგნოსტიკა/რეფერალი
E06	თიროიდიტი	დიაგნოსტიკა/რეფერალი
<b>შარდ - სასქესო სისტემის დაავადებები</b>		
N30.8	სხვა ცისტიტი (მათ შორის ეოზინოფილური)	დიაგნოსტიკა, მკურნალობა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
<b>ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა</b>		
O99.7	კანისა და კანქვეშა ქსოვილის	დიაგნოსტიკა, მკურნალობა

	ავადმყოფობები, რომლებიც ართულებს ორსულობას, მშობიარობას და ლოგინობის ხანას (L00 - L99)	კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
<b>პერინატალურ პერიოდში განვითარებული ზოგიერთი მდგომარეობები</b>		
P93	რეაქციები და ინტოქსიკაციები, გამოწვეული ნაყოფისა და ახალშობილისათვის მიცემული სამკურნალო საშუალებებით	დიაგნოსტიკა, მკურნალობა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
<b>თანდაყოლილი მანკები, დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები</b>		
Q82.2	მასტოციტოზი	მართვა
<b>სიმპტომები, ნიშნები და ნორმიდან გადახრილი კლინიკური და ლაბორატორიული მონაცემები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში</b>		
R21	გამონაყარი და კანის სხვა არასპეციფიკური დაზიანებები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
R23	კანის სხვა ცვლილებები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
R84.4	იმუნოლოგიური გამოკვლევით გამოვლენილი დარღვევები	დიაგნოსტიკა, მკურნალობა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
<b>დაზიანება, მოწამვლა და გარე მიზეზების ზემოქმედებები</b>		
T44.5	უპირატესად β-ადრენორეცეპტორული აგონისტებით მოწამვლა, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
T63.4	სხვა ფეხსახსრიანთა შხამის ტოქსიური ეფექტი	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
T78	არასასურველი ეფექტები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
T80.3	რეაქცია ABO შეუთავსებლობაზე	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
T80.4	რეაქცია RH შეუთავსებლობაზე	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
T80.5	შრატისმიერი ანაფილაქსიური შოკი	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
T80.6	სხვა შრატისმიერი რეაქციები	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
<b>ავადობისა და სიკვდილიანობის გარე მიზეზები</b>		
W57	კბენა ან დანესტრვა არაშხამიანი მწერის და სხვა არაშხამიანი ფეხსახსრიანების მიერ	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
Y40-Y59	სამკურნალო საშუალებები, მედიკამენტები და ბიოლოგიური ნივთიერებები, რომლებიც წარმოადგენს არასასურველი რეაქციების მიზეზს მათი თერაპიული გამოყენების დროს	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
<b>ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და დაკავშირებულია სამედიცინო სამსახურთან</b>		

Z01.5	კანის დიაგნოსტიკური და მგრძობელობითი სინჯები	მართვა
Z29.1	საპროფილაქტიკო იმუნოთერაპია	მართვა კომპეტენციის ფარგლებში/რეფერალი
Z51.6	დესენსიბილიზაცია ალერგენების მიმართ	მართვა
Z71.3	კონსულტაციები კვების საკითხებზე (მათ შორის ალერგიული პაციენტის)	მართვა
Z88	სამკურნალოწამლო საშუალებებზე, მედიკამენტებსა და ბიოლოგიურ ნივთიერებებზე ალერგია პირად ანამნეზში	მართვა
Z91.0	სხვა ნივთიერებებზე ალერგია პირად ანამნეზში, მედიკამენტებისა და ბიოლოგიური ნივთიერებების გარდა	მართვა

## 5. პრაქტიკული უნარჩვევები:

ა) ექიმ ალერგოლოგ-იმუნოლოგს შეუძლია შემდეგი კვლევის მონაცემების შედეგების ინტერპრეტაცია:

ა.ა) სისხლის, შარდის, განავლის, ნახველის, ცხვირის სეკრეტის და სხვა ბიოლოგიური მასალის კლინიკური გამოკვლევების ანალიზი;

ა.ბ) სისხლის ბიოქიმიური ანალიზი;

ა.გ) სისხლის სეროლოგიური ანალიზი;

ა.დ) გენეტიკური ანალიზი;

ა.ე) PCR ანალიზი;

ა.ვ) რენტგენოლოგიური და CT-კვლევა;

ა.ზ) იმუნოლოგიური გამოკვლევები;

ა.თ) საერთო IgE-ს განსაზღვრა;

ა.ი) სპეციფიკური (საყოფაცხოვრებო, კვებითი, მცენარეული, მედიკამენტური და სხვ.) ალერგენების წყაროებისა და მათი კომპონენტების მიმართ სპეციფიკური IgE-ს განსაზღვრა;

ა.კ) სხვადასხვა კლასის იმუნოგლობულინების და მათი კომპონენტების გამოკვლევა;

ა.ლ) ანტისხეულების გამოკვლევა მცენარეული, ცხოველური, ქიმიური და წამლისმიერი წარმოშობის ანტიგენების მიმართ;

ა.მ) დაცვის ბუნებრივი ფაქტორების მაჩვენებლების განსაზღვრა;

ა.ნ) ანტისხეულების გამოკვლევა ქსოვილების ანტიგენების და მათი კომპონენტების მიმართ;

ა.ო) ანტისხეულების გამოკვლევა სისხლის უჯრედების, შემაერთებელი ქსოვილის, სეკრეტების მიმართ;

ა.პ) ანტისხეულების გამოკვლევა უჯრედის სუბსტრუქტურების მიმართ;

ა.ჟ) ანტისხეულების გამოკვლევა უჯრედების და მათი რეცეპტორების მეტაბოლიტების მიმართ;

ა.რ) ანტისხეულების გამოკვლევა იმუნოგლობულინების და მათი ფრაგმენტების მიმართ;

ა.ს) ანტისხეულების გამოკვლევა ჰორმონების და მათი რეცეპტორების მიმართ;

ა.ტ) ერითროციტების ანტიგენური (რეცეპტორული) სისტემის გამოკვლევა;



- ა.უ) ჰისტოშეთავსების ძირითადი კომპლექსის გენოტიპირება და სეროტიპირება;
- ა.ფ) სისხლის სხვა უჯრედების ანტიგენური სისტემის განსაზღვრა;
- ა.ქ) ლიმფოციტების სუბპოპულაციების იდენტიფიცირება;
- ა.ღ) იმუნოკომპეტენტური უჯრედების მარკერების იდენტიფიცირება;
- ა.ყ) ნეიტროფილების (გრანულოციტების) იდენტიფიცირება;
- ა.შ) სისხლის რეაქტივობის ცვლილების მაჩვენებლების განსაზღვრა;
- ა.ჩ) ჰომეოსტაზის სისტემების მარეგულირებელი იმუნოკომპეტენტური და სხვა უჯრედების ჰუმორალური ფაქტორების განსაზღვრა;
- ა.ც) სიმსივნის საწინააღმდეგო იმუნიტეტის მაჩვენებლების გამოკვლევა;
- ა.ძ) იმუნოლოგიური ტოლერანტობის მაჩვენებლების გამოკვლევა;
- ა.წ) ცხვირის ლორწოვანი გარსის ნაცხის მიკროსკოპია;
- ა.ჭ) გარეგანი სუნთქვის ფუნქციის გამოკვლევა ნაკად-მოცულობითი ტესტით ფარმაკოდინამიკური სინჯის გამოყენებით;
- ა.ხ) აზოტის ოქსიდის NO-ს განსაზღვრა ამოსუნთქულ ჰაერში (ინფლამომეტრიება);
- ა.ჯ) პიკ-ფლოუმეტრია;
- ა.ჰ) ნაკად-მოცულობითი ტესტი;
- ა.ჰ<sup>1</sup>) კანის ალერგოლოგიური (პრიკ, კანშიდა, ფეჩ და პროვოკაციული) ტესტები;
- ა.ჰ<sup>2</sup>) ალერგოდიაგნოსტიკა მედიკამენტებზე;
- ა.ჰ<sup>3</sup>) კანის სინჯი აუტოლოგიური შრატით;
- ა.ჰ<sup>4</sup>) ყინულის, ჰიპერთერმიის, ჩხვლეტითი, ფიზიკური დატვირთვის და სხვ. პროვოკაციული ტესტები;
- ა.ჰ<sup>5</sup>) საინჰალაციო ალერგენებით პროვოკაციული ტესტები;
- ა.ჰ<sup>6</sup>) პერორალური ალერგენებით პროვოკაციული ტესტები.
- ბ) ექიმ ალერგოლოგ-იმუნოლოგს შეუძლია შემდეგი ჩარევების-კვლევების შესრულება:
  - ბ.ა) გარეგანი სუნთქვის ფუნქციის გამოკვლევა ნაკად-მოცულობითი ტესტით ფარმაკოდინამიკური სინჯის გამოყენებით;
  - ბ.ბ) აზოტის ოქსიდის NO-ს განსაზღვრა ამოსუნთქულ ჰაერში (ინფლამომეტრია);
  - ბ.გ) პიკ-ფლოუმეტრია;
  - ბ.დ) ნაკად-მოცულობითი ტესტი;
  - ბ.ე) პულსოქსიმეტრია;
  - ბ.ვ) კანის ალერგოლოგიური (პრიკ, კანშიდა, ფეჩ და პროვოკაციული) და პერორალური პროვოკაციული სინჯები;
  - ბ.ზ) მედიკამენტური ალერგიის დროს სამედიცინო პრობლემების განსაზღვრა, გამოკვლევის გეგმის დასახვა, ალერგოდიაგნოსტიკა მედიკამენტებზე - ინ ვივო და ინ ვიტრო, პრემედიკაციის მიცემა;
  - ბ.თ) კანის სინჯი აუტოლოგიური შრატით;
  - ბ.ი) ყინულის, ჰიპერთერმიის, ჩხვლეტითი, ფიზიკური დატვირთვის და სხვ. პროვოკაციული ტესტები;
  - ბ.კ) საინჰალაციო ალერგენებით პროვოკაციული ტესტები;
  - ბ.ლ) სპეციფიკური იმუნოთერაპია;
  - ბ.მ) ინჰალაციური თერაპია;

ბ.წ) ვაქცინაცია, რისკის ფაქტორების შეფასება;  
ბ.ო) გადაუდებელი დახმარება ანაფილაქსიური შოკის, ასთმური შეტევის/სტატუსის, ურტიკარიის, ანგიოედემის, ხორხის შეშუპების დროს.